ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია

დასკვნა:**დ08. 3724018001**
თარიღი:**18/01/2024**

დასკვნა

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 429 კვ. მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს. კ. 26.05.38.161) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“- პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიამ განიხილა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 429 კვ. მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს. კ. 26.05.38.161) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“-პროექტი (შემდეგში პროექტი) და დაადგინა:

1. პროექტის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენის საფუძველია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 14 დეკემბრის #5/68576 კორესპონდენცია.

2. ზემოთ აღნიშნული კორესპონდენციის შესაბამისად ოზურგეთის მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მერიაში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (429 კვ. მ.)არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას სახელმწიფოსთვის.

3. უძრავი ქონების - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, საკუთრებაში სახელმწიფოსთვის გადაცემა ითვალისწინებს, აღნიშნული ქონების გადაცემას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის, ამ უკანასკნელის მიერ სოფლის ამბულატორიის მშენებლობის მიზნით.

4. განხილვა-დამტკიცების მიზნით წარმოდგენილი პროექტის განხორციელება უზრუნველყოფს პაციენტებისათვის სათანადო სამედიცინო მომსახურების შესაბამისი სტანდარტის შეთავაზებას, სამედიცინო პერსონალისათვის სათანადო სამუშაო გარემოს შექმნას, პირველადი ჯანდაცვის მიწოდების ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

5. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების უსასყიდლოდ სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცების თაობაზე.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი